პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 70 (876) | ოთხშაბათი, 31 აგვისტო, | ფასი 30 კაპ.

მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი

მიიწურა 1955 წლის ზაფხული. მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ამ პერიოდში, რაც მთავარია, გამოვლინდნენ მაღალი თანრიგის სპორტსმენები, რომლებიც თამამად ჩადგებიან საქართველოს ნაკრები გუნდების რიგებში და მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში. სპორტსმენთა შორის ახლა უკვე გაიგონებთ საუბარს მომავალ ზამთარზე, სრულწლიურ წვრთნაზე, სამთო-სათხილამურო სპორტზე, ბაკურიანის კეთილმოწყობაზე და ზამთრის სპორტულ სეზონთან დაკავშირებულ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

ზამთრის სპორტულ სეზონზე ჩვენ ადრევე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ იგი თავისი ნაყოფიერებით არაჩვეულებრივი უნდა იყოს. პირველი, რასაც გვინდა ყურადღება მივაქციოთ. ეს არის სრულწლიური წვრთნა. თუ ჩვენ იმ მიღწევებს, რაც ზაფხულის პერიოდში მოვიპოვეთ, არ განვამტკიცებთ, ხალხთა სპარტაკიადაზე წარმატებას ვერ მივაღწევთ. აი, ჩვენ მოგვივიდა სასიხარულო ცნობები: საქართველოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მძლეოსანმა შავლაყაძემ ორი მეტრის სიმაღლე გადალახა, საქართველოს ხუთჭიდელებმა საკავშირო პირველობაზე (მონაწილეობდნენ პირველად) მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის ძლიერ გუნდებთან სპორტულ ჭიდილში მეორე საპატიო ადგილი დაიკავეს. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ისინი ხელიდან გამოგვეცლებიან, თუ მწვრთნელთა რესპუბლიკურმა საბჭოებმა, სპორტულმა საზოგადოებებმა და საერთოდ ყველა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ აქედანვე ენერგიულად არ იბრძოლა სპორტსმენთა სრულწლიური წვრთნისათვის.

ახლა ყოველი დღე სპარტაკიადის დაწყების თარიღს გვაახლოვებს. ამიტომ ყოველი დღე რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ. მოვამზადოთ ბაზები — ჩვენი მუშაობის წარმატების ძირითადი ფაქტორი — არ დავუშვათ ფორმალიზმი მწვრთნელთა მუშაობაში.

ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შედეგები. მრავალი ნაკლოვანებები გამოირკვა: ბევრი რაიონი სამარცხვინოდ ჩამორჩა, ხოლო ზოგიერთი რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ იმისათვის, რომ თავისი უქნარობა დაეფარა, ფიქტიური გეგმებიც კი შეადგინა. ცხვათაშორის კომიტეტის სხდომაზე გამოირკვა, რომ კომპლექსის ერთ-ერთი ნორმატივი — ცურვა ბევრს ჩაუბარებელი აქვს. როგორც აღვნიშნეთ, ზაფხული მიიწურა, ერთი თვე კიდევ და წყალში ჩასვლა უკვე შეუძლებელი იქნება. მაშასადამე, ნიშნოსანთა მომზადების გეგმას ვერ შევასრულებთ. ამიტომ საჭიროა, ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივმა კომიტეტებმა პირველ რიგში ყურადღება მიაქციონ კომპლექსის ერთ-ერთ ძირითად ნორმატივს — ცურვას. გამოირკვა, აგრეთვე, რომ მიმდინარე წელს მოსამზადებელი ნიშნოსანთა უმრავლესობას ჩაბარებული არა აქვს სროლაც. ესა და სხვა ნაკლოვანებები იმას მოწმობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები საქმეს აჭიანურებენ, ზერელედ ეკიდებიან ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებას.

როგორც ვიუწყებოდით, მიმდინარე წელს მეტად კარგი ღონისძიება ჩაატარა ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტმა — მყინვარწვერის ფერდობზე მოეწყო შეჯიბრება სლალომსა და სწრაფდაშვებაში. მართალია, ეს საცდელი შეჯიბრება იყო, მაგრამ მან აუცილებლად გარკვეული შედეგი მოგვცა. ეს არის ჩვენს სინამდვილეში მოთხილამურეთა სრულწლიური წვრთნის პირველი ცდა. ამიტომ შემდგომში უფრო მასობრივად უნდა მოვაწყოთ ასეთი შეჯიბრებები და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები.

ჩვენი რესპუბლიკის ერთადერთი (ასე თუ ისე) კეთილმოწყობილი ბაზა ბაკურიანია, რომელიც სპორტსმენთა მზარდ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს. ამაზე ლაპარაკი წლობით გრძელდება და მისი გაფართოების, შემდგომი კეთილმოწყობის, საბაგირო გზის შეუფერხებლად მუშაობის საქმე დღესაც ჩვენს დღის წესრიგში დგას და მთლიანად გადაჭრილი არ არის.

რესპუბლიკის სათხილამურო სპორტის მოყვარულებმა ბევრჯერ დააყენეს საკითხი სათხილამურო ბაზების ქსელის გაზრდაზე. რატომ არ უნდა გვქონდეს სათხილამურო ბაზა მესტიაში, ჯავაში, დუშეთსა და რესპუბლიკის სხვა თოვლიან რაიონებში. ეს ერთიორად გაზრდიდა სათხილამურო სპორტის მოყვარულთა რიგებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზამთრის სპორტული სეზონის წარმატებით ჩატარებაში უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია სავაჭრო ორგანიზაციებს. მათ მოქნილ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული საქმის წინსვლა. ახლავე უნდა იქნას მიღებული ღონისძიებები თხილამურების, სამაგრების, საცხებისა და სპეციალური ტანსაცმლის მომარაგებისათვის. იმ სპორტულმა საზოგადოებებმა, რომლებსაც ბაკურიანში აქვთ ბაზები, დაუყოვნებლივ უნდა დაამთავრონ რემონტი, წესრიგში მოიყვანონ არსებული ინვენტარი და საწვრთნელად ჩამოსულ სპორტსმენებს შეუქმნან ნაყოფიერი წვრთნის ყველა პირობა.

9 თვე დარჩა რესპუბლიკის სპარტაკიადის დაწყების თარიღამდე. შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რომ დრო ბევრია და უდარდელობას მიეცეს. პირიქით, დრო ძალიან ცოტაა,— გასაკეთებელი კი ბევრი. რესპუბლიკის ნაკრები გუნდები ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული პირველთანრიგოსანი სპორტსმენებით.

დარჩენილი დრო გამოვიყენოთ მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მოსამზადებლად, ფიზკულტურის მასობრიობისათვის — ასეთია ამოცანა.

☆

საბჭოთა სპორტსმენების გამგზავრება

იტალიაში გაემგზავრა მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი. საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ორ საერთაშორისო შეხვედრაში იტალიელ ფეხბურთელებთან.

პირველი მატჩი შედგება 4 სექტემბერს კლუბ „მილანის" გუნდთან, ხოლო მეორე—8 სექტემბერს კლუბ „ფლორენტინასთან" (ფლორენცია).

* * *

ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ფინეთში გაემგზავრნენ კიეველი მძლეოსნები. ისინი გამოვლენ ქალაქ ტამპერეს სპორტსმენებთან შეჯიბრებაში.

12 საკავშირო რეკორდი

◆

დამთავრდა მოსწავლეთა მეორე საკავშირო სპარტაკიადა

◆



მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ★ თბილისი ★

კიევი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). აქ დამთავრდა მოსწავლეთა მეორე საკავშირო სპარტაკიადა. შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებული იქნა ჭაბუკთა 12 საკავშირო და 100 რესპუბლიკური რეკორდი. მონაწილეთა შორის 41 მოსწავლე სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამოდიოდა ოსტატთა პროგრამით.

მოცურავეთა შეჯიბრებებში საქართველოს ვაჟთა გუნდი გამოვიდა მესამე ადგილზე, მაგრამ ქალთა ცუდი შედეგის გამო (მერვე ადგილი) მას საერთო მეექვსე ადგილი მიეკუთვნა. საქართველოს ვაჟთა გუნდმა სუსტად ჩაატარა ფინალური შეხვედრები ფრენბურთში. დამარცხდა რა მოსკოვის, უკრაინის, ლენინგრადის სპორტსმენებთან, იგი მეოთხე ადგილზე გამოვიდა. ქალებმა დაიკავეს მერვე ადგილი რესპუბლიკას მიეკუთვნა საერთო მეექვსე ადგილი. კალათბურთელთა ფინალში უკრაინასთან დამარცხების შემდეგ (71:78) საქართველოს ჭაბუკებს ლენინგრადისათვის 9 ქულით უნდა მოეგოთ და ბურთების შეფარდებით პირველ ადგილს იკავებდნენ, მაგრამ ლენინგრადელებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და პირველობა მოიპოვეს.

სპორტის შვიდი სახეობის ჯამის მიხედვით სპარტაკიადაში გამარჯვებული გამოვიდა მოსკოვის გუნდი, მეორეზეა უკრაინის, მესამეზე — რსფსრ-ს წარმომადგენლები. საქართველოს წარგზავნილებმა მოიპოვეს მეექვსე ადგილი. სახეობათა მიხედვით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ტანვარჯიშში: უკრაინა, საქართველო, მოსკოვი, ცურვაში: უკრაინა, რსფსრ, მოსკოვი. ველოსპორტში: „შრომითი რეზერვები", მოსკოვი, ბელორუსია, სროლაში: მოსკოვი, „შრომითი რეზერვები", უკრაინა, კალათბურთში: ლიტვა, საქართველო, ლენინგრადი, ფრენბურთში: მოსკოვი, უკრაინა, ლენინგრადი, მძლეოსნობაში: რსფსრ, უკრაინა, ლენინგრადი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა გამოსვლები ტანვარჯიშში, რომლებმაც მეორე ადგილი მოიპოვეს. უკეთესი ადგილების მოპოვება შეეძლოთ კალათბურთელებსა და ფრენბურთელებს, მაგრამ დაბალ დონეზე ჩატარებულმა ზოგიერთმა შეხვედრამ მათ ამის საშუალება არ მისცა. სუსტად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტები და მსროლელები.

შ. კეკელიძე
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: სპარტაკიადაში გამარჯვებულნი ლ. ანთაძე (მარცხნივ) და გ. გვინჩიძე.

ევროპის ჩემპიონი

ქალაქ განტში (ბელგია) ოთხ დღეს გრძელდებოდა ევროპის პირველობა ვაჟთა შორის აკადემიურ ნიჩბოსნობაში. მონაწილეობდნენ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის, არგენტინის, შვეციის, შვეიცარიის, აშშ-ს, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

ორმოსასმელიანით წყვილთა შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა გ. ჟილინმა და ი. ემჩუკმა, რომლებმაც ორი კილომეტრი 6.43,1 დაფარეს.

ორმოსასმელიანით უმესაჭოდ გამარჯვებული გამოვიდნენ ი. ბულდაკოვი და ვ. ივანოვი (საბჭოთა კავშირი) — 6.59,1.

ამავე სახის ნავებით შეჯიბრებაში (მესაჭით) ევროპის ჩემპიონობა წილად ხვდა შვეიცარელ სპორტსმენებს. ოთხმოსასმელიანით (უმესაჭოდ)—რუმინეთის წარმომადგენლებს. ერთმოსასმელიანით ორ კილომეტრზე შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მივიდა პოლონელი ტ. კოცერკა, მეორეზე გამოვიდა ი. ტიუკალოვი (სსრკ).

განსაკუთრებით საინტერესო იყო შეჯიბრება რვაადგილიანი ნავებით. გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა (ვ. როდიმუშკინი, ე. ბრაგო, ს. ამირაგოვი, ი. ბორისოვი, ე. სამსონოვი, ლ. გისენი, ა. კომაროვი, ვ. კრიუკოვი და მესაჭე ვ. პეტროვი), რომლის დროა 5.59,7.

საერთო პირველობა და ევროპის ჩემპიონობა მიეკუთვნათ საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებმაც მოაგროვეს 29 ქულა და მოიპოვეს 16 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ დანიისა და მესამეზე — შვეციის სპორტსმენები.

ლიდერობენ მაი და «ჟალგირისი»

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი ჯერ არ შესულა გადამწყვეტ ფაზაში. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდები ძნელად აღწევენ გამარჯვებას. არც ერთი გუნდი არ თმობს იოლად, უბრძოლველად თამაშს. ძალთა შეფარდებაც მოთამაშეთა შორის თითქმის თანაბარია. ამიტომ ყოველი ქულა, მოგებული მატჩი, მეტად საპატიო და ამავე დროს საჭიროა.

მესამე ტურში ქალთა შეჯიბრების ცენტრალური მატჩი ტარტუს „კალევისა" და მოსკოვის „სტროიტელის" შეხვედრა იყო. გამარჯვება უკანასკნელ წუთებზე მოიპოვეს მოსკოველმა სპორტსმენებმა — 55:48. მოსკოვის „დინამომ" დაამარცხა კიშინიოვის თანაკლუბელები — 70:59. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა ადვილად მოუგო შეხვედრა ერევნის „ბურევესტნიკს" — 81:37. პირველი დამარცხება განიცადა კაუნასის „ჟალგირისის" ქალთა გუნდმა — ლენინგრადის „ბურევესტნიკისაგან" — 47:63.

თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა კოლექტივი, შეხვდა მოსკოვის „მეტალურგის" ძლიერ გუნდს. თამაშის პირველი ნახევარი მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა. თბილისელებმა მოიგეს იგი მხოლოდ ერთი ქულით — 29:28. მეორე ნახევარში საქართველოს კალათბურთელები მოქმედებდნენ უფრო თავისუფლად და აგრესიულად. ეს შედეგსაც დაეტყო. გაიმარჯვეს „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა — 59:55.

მესამე ტურისათვის არც ერთი მოგება არ ჰქონდა ტარტუს „კალევის" ვაჟთა გუნდს. ორი დამარცხება ჰქონდა კიევის ოფიცერთა სახლსაც. ამიტომ ამ გუნდების შეხვედრას მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ესტონელებს შემადგენლობაში ჰყავდათ ისეთი ცნობილი კალათბურთელები, როგორიცაა კულამი, ლაგა, ეხაველი და ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენები იანსონი და სოკი. ამჯერად ესტონელებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და მოუგეს კიევის არმიელებს—104:70. ლენინგრადის „ბურევესტნიკის" კალათბურთელებმა განიცადეს პირველი დამარცხება რიგის ოფიცერთა სახლის წარმომადგენლებთან შეხვედრაში — 58:62. მორიგი გამარჯვება მოიპოვა კაუნასის „ჟალგირისმა". ამ დღეს მან მოუგო მოსკოვის „დინამოს" — 76:67. ყველასათვის მოულოდნელად სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მოსკოვის „სპარტაკის" კალათბურთელებმა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის სპორტსმენებს. მატჩი მოიგეს არმიელებმა შვიდი ქულით — 38:31.

თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ ამ დღეს თამაშობდა სვერდლოვსკის გუნდი. გუნდები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: თბილისი—ქორქია, გვანცელაძე, იწკირველი, კილაძე, მინაშვილი. სვერდლოვსკი — რეშეტნიკოვი, კრაევი, მახნევი, კანდელი და შალიმოვი. სვერდლოვსკის გუნდში ძლიერად თამაშობენ რეშეტნიკოვი და კრაევი. ორივეს აქვთ შესანიშნავი ტყორცნები საშუალო და შორი მანძილიდან. ამასთან პირველი მეტად სწრაფი და აგრესიულია. სვერდლოვსკის გუნდთან წარმატების მიღწევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ თამაშიდან გამოთიშავ ორ წამყვან კალათბურთელს. სწორედ ამ ამოცანით გამოვიდნენ თბილისის დინამოელები მოედანზე.

თავდაპირველად ანგარიში თბილისელებმა წაიყვანეს. მე-6 წუთზე სადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა 8:0, ერთ წუთში რეშეტნიკოვი და კრაევი ანგარიშს ხდიან — 8:6. მე-10 წუთზე კი იგი უკვე ფრეა — 10:10. თბილისელთა გუნდში ხდება ცვლილება, იწკირველის ნაცვლად მოედანზე გამოდის ქლენტი, რომელიც სამ ქულას აძლევს თავის გუნდს. დინამოელები სწრაფ ტემპში უტევენ მოწინააღმდეგის ფარს და ჯერ კილაძე, შემდეგ კი მინაშვილი ზრდიან ანგარიშს. სვერდლოვსკის გუნდი იღებს წუთშესვენებას და კანდელის მაგივრად მოედანზე ბურევი გამოდის. თბილისის „დინამოშიც" ხდება ცვლილება. გვანცელაძის ნაცვლად თამაშს იწყებს გივი აბაშიძე. პირველი ნახევრის დამთავრებისას რეშეტნიკოვი, კრაევი და ბურევი ამცირებენ განსხვავებას ანგარიშში. ტაიმი დამთავრდა. წინ არიან თბილისელები ორი ქულით — 26:24.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე 5 პერსონალურ ჯარიმას იღებს აბაშიძე. მოედანს უბრუნდება გვანცელაძე. ქორქიას და მინაშვილს კიდევ უფრო წინ გაჰყავთ თავიანთი გუნდი—43:29. ამის შემდეგ უპირატესობა მთლიანად „დინამოს" მხარესაა, რომელიც იგებს შეხვედრას — 69:51. უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მინაშვილის წარმატება, რომელმაც მაღალი ოსტატობა აჩვენა. მინაშვილი კარგად თამაშობს დაცვაში და ძალზე აგრესიულია თავდასხმაში.

(დასასრული მე-2 გვ.)

მივიწყებული უბანი

◆

თბილისის ბევრ სკოლასა და სასწავლებელში სპორტული ბაზები მოუწყობელია

◆

რომ ვთქვათ დედაქალაქის სასწავლებლებში სპორტული ბაზების მოწყობას აინუნშიც არ იგდებენო, სინამდვილე არ იქნება. ბევრი სკოლა და ტექნიკუმი მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს. მოაწყეს სპორტული მოედნები, დარბაზები, შეიძინეს ინვენტარი. 47-ე საშუალო სკოლაში ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ მოჰკიდეს ხელი ამ მნიშვნელოვან საქმეს, შეაკეთეს კალათბურთის და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები. მომზადებულად ხვდებიან ახალ სასწავლო წელს 37-ე საშუალო სკოლაშიც. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ყველგან ასე როდია დაყენებული.

დარბაზები ინვენტარის გარეშე

57-ე სკოლა ახალ კაპიტალურ შენობაში ხუთი წლის წინათ გადავიდა, მაგრამ მის სპორტულ დარბაზს არაფერი შეჰმატებია. იგი ისეთივე მდგომარეობაში დარჩა, როგორშიც მისმა მშენებლებმა დატოვეს — სპორტული ინვენტარის გარეშე. ამ ფაქტის შესახებ იციან განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებებში, სამინისტროში, მაგრამ დახმარება არსაიდან ჩანს.

სკოლას აქვს ფართო ეზო, სადაც შესანიშნავი სპორტული მოედნის მოწყობა შეიძლება. დიდი ბრძოლების შემდეგ, რაც წლების მანძილზე გრძელდებოდა, სათანადო ორგანოებმა მოწყალების თვალი გადაავლეს ეზოს და სპორტული ბაზის მოსაწყობად საჭირო სამუშაოების წარმოება ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სარემონტო კანტორას მიანდეს. მაგრამ მშენებლებმა კუს ნაბიჯებით დაიწყეს მუშაობა. ამჟამად ეზო ასე გამოიყურება: დაუტკეპნავ მიწაზე კალათბურთის „ფეხებაშვერილი" ფარები ყრია...

24-ე სკოლის დირექციამ წელს ფიზკულტურული მუშაობისათვის ვრცელი ოთახი გამოყო. ეს „ერთგვარი პროგრესია" სკოლისათვის, რადგანაც გასულ წელს ესეც არ ჰქონდათ. მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. საჭირო იყო „დარბაზი" სპორტული ინვენტარითაც მოემარაგებინათ.

საერთოდ, აქ ფიზკულტურასა და სპორტს მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან. აბა რითი უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ წელს სკოლაში კაპიტალური რემონტის ჩატარებისას სპორტული მოედანი მხედველობიდან გამორჩათ?

„მოითმინეთ მომავალ წლამდე"

მოახლოვდებოდა თუ არა ახალი სასწავლო წელი, მე-7 საშუალო სკოლის ხელმძღვანელები თავგანწირულ ბრძოლას იწყებდნენ სკოლის შენობაზე სპორტული დარბაზის მიშენებისათვის. იწერებოდა მოხსენებითი ბარათები, განცხადებები. საქმე იმაშია, რომ 15 წლის წინათ რომელიღაც საამშენებლო ორგანიზაციამ, აქაოდა ჩქარა დავამთავროთ სკოლის მშენებლობაო, პროექტით გათვალისწინებული სპორტული დარბაზის ბედ-იღბლის გადაწყვეტა მომავალ წლისათვის გადადო. სამწუხაროდ, არც 15 წლის შემდეგ დადგა ეს სანუკვარი „მომავალი წელი".

სკოლას აქვს სპორტული მოედანი, მაგრამ... ლენინის სახელობის რაიონის სარემონტო კანტორის ინჟინერმა გ. გურგენიძემ იმის მაგივრად, რომ მოედანი დაფხვნილი აგურით დაეფარა, მისი მოასფალტება ბრძანა, ეს სამუშაოც უხარისხოდ ჩაატარეს და შეკეთების ნაცვლად სპორტული მოედანი დამახინჯდა.

სხვის ბაზებზე

— ახალ შენობაში გადავალთ, იქ მოვაწყობთ ყველაფერს, სპორტულ მოედანსაც, დარბაზსაც, შევიძენთ ინვენტარს,—ამბობენ თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმის ხელმძღვანელები. ეს მეორდება ყოველ წელს. ახალ შენობაში გადასვლის იმედით ტექნიკუმის სპორტულ მუშაობაში უკვე დიდი ხანია არანორმალური მდგომარეობა შეიქნა. ფიზკულტურის გაკვეთილები არც ისე ახლომდებარე „ბურევესტნიკის" დარბაზში ტარდება. აქ უკანასკნელ ხანებამდე გამოუყენებელი იყო ეზო. წელს სცადეს საქმის გამოსწორება, მაგრამ იმით შემოიფარგლნენ, რომ ეზოში მცირეოდენი ქვიშა მოზიდეს, თითქოსდა მოედნების მშენებლობას მეტი არაფერი სჭირდებოდა.

კოოპერაციულ ტექნიკუმში საკუთარი სპორტული ბაზის მოწყობას სხვის ბაზებზე ვარჯიშს ამჯობინებენ. ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში სპორტულ ღონისძიებებს ზამთარზაფხულ დარბაზში ატარებენ მაშინ, როცა ტექნიკუმის დიდ ეზოში შეიძლება კარგი სპორტული მოედნების მოწყობა. სპორტული მოედნების მოწყობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში. კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები ბალახმა დაფარა. მეტალურგიული ტექნიკუმის მოსწავლეთა ძალებით მოწყობილი სპორტული მოედანი ნახშირის საწყობად გადააქციეს. ზემოთმოყვანილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ დედაქალაქის სკოლებისა და სასწავლებლების ბევრი მესვეური უგულებელყოფს ფიზკულტურასა და სპორტს. მათ დაივიწყეს, რომ ფიზკულტურა და სპორტი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

ო. მაისურაძე,
მ. ჯოლია.

სამხტომი

სამხტომი მძლეოსნობის ერთ-ერთი რთული სახეობაა. საბჭოთა მძლეოსნებმა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თავისი მაჩვენებლები. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნების შესახებ — 14 მეტრზე მაღალი შედეგი წელს უკვე აჩვენა სამმა მძლეოსანმა.

წინამდებარე წერილში განზრახული გვაქვს გავარჩიოთ საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მხტომელის, სოხუმელი ვ. ალექსანდროვის (14 მ 19 სმ) ტექნიკა სამხტომში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ შეცდომას, ალექსანდროვის ხტომის ტექნიკა შეიძლება მივიჩნიოთ სანიმუშოდ და მისი მიხედვით სწორად წარმოვიდგინოთ ვარჯიში მთლიანად. სამხტომი შედგება სამი თანმიმდევრული ნახტომისაგან. გამორბენის შემდეგ მხტომელი არეკნს აწარმოებს, ვთქვათ, მარჯვენა ფეხით და პირველი ნახტომის შემდეგ მიწაზე ეშვება ამავე ფეხით. ამ პირველ ნახტომს ეწოდება „წახტომი" (1-4 კადრები). მარჯვენა ფეხზე დაშვების შემდეგ მხტომელი კვლავ აირეკნება და მიწაზე ეშვება მარცხენა (გამქნევი) ფეხით (5-8 კადრები). სამხტომის ამ ნაწილს ეწოდება „ნაბიჯი". ბოლოს სრულდება უკანასკნელი ნაწილი — „ნახტომი", რომელიც ხორციელდება მარცხენა ფეხის არეკნით და ორმოში ორივე ფეხით ჩახტომით (9-12 კადრები).

მრავალი წლის პრაქტიკული გამოცდილება და სპეციალური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ სიგრძით ყველაზე მეტია „წახტომი", შემდეგ „ნახტომი", ხოლო ყველაზე მოკლეა „ნაბიჯი". სხვადასხვა საერთო შედეგისას ამ სამი ფაზის შეფარდება შემდეგ სურათს გვაძლევს:

„წახ".	„ნაბიჯ".	„ნახტ".	მეტრ.
4,30	3,70	4,00	12,00
4,70	4,00	4,30	13,00
5,00	4,40	4,60	14,00
5,40	4,60	5,00	15,00
5,80	5,00	5,20	16,00

ყველაზე დიდი მნიშვნელობა სამხტომის ტექნიკაში აქვს არეკნის ფაზებს. ყოველი მათგანი შედგება „წინა" არეკნისაგან (ე. ი. ფეხის დადგმა საბჯენად) და „უკანა" არეკნისაგან (ე. ი. საყრდენიდან არეკნის მომენტი). ვნახოთ, როგორ ასრულებს ამ ფაზებს ვ. ალექსანდროვი.

1-2 კადრებში ნაჩვენებია პირველი არეკნი. მხტომელი ფეხს ძელაკზე დგამს სრული ტერფით, რაც მას საშუალებას აძლევს აირეკნოს თითქოს გარბენშივე. ეს დიდი უპირატესობაა, ვინაიდან საშუალებას იძლევა შენარჩუნებულ იქნას რაც შეიძლება მეტი ჰორიზონტალური სიჩქარე, რომელიც მორბენალმა განავითარა გამორბენში. არეკნის კუთხე უფრო მახვილია, ვიდრე სიგრძეზე ხტომისას.

მოწყდება რა მიწას, მხტომელი თითქმის მაშინვე იწყებს მზადებას შემდგომი არეკნისათვის. ამისათვის იგი თითქოს ჰაერში ნაბიჯს ასრულებს და წინ-მაღლა გააქვს მუხლში მოღუნული მარჯვენა (არეკნის შემსრულებელი) ფეხი (კადრი 3). უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდროვს ფრენში ფეხების შეცვლის დროს ზედმეტად დაძაბული აქვს მხრის სარტყელი, რაც შემდგომი არეკნისას აძნელებს გაქნევის შესრულებას ხელებით. მარჯვენა ფეხის აქნევი ბარძაყით (კადრი 3) საშუალებას იძლევა მყისვე აქტიურად იქნას დაშვებული მარჯვენა ფეხი საყრდენზე, რათა მხტომელი არ წააწყდეს წინ გატანილ ფეხს (კადრი 4). ფეხის დაბიჯება საყრდენისათვის (კადრი 4) ხორციელდება ქუსლიდან ფეხის წვერზე გადასვლით. „უკანა" არეკნს ალექსანდროვი კარგად ასრულებს: მარჯვენა ფეხი მთლიანად გამართულია, მთელს ამ პოზაში იგრძნობა მხტომელის სწრაფვა წინ და მაღლა.

„ნაბიჯს" ალექსანდროვი ასრულებს რამდენადმე უარესად. აირეკნება რა „წახტომის" შემდეგ (6,7 კადრები), მხტომელს კარგად გამოაქვს წინ-მაღლა მარცხენა ფეხის ბარძაყი და შემდეგ აქტიურად უშვებს მას საყრდენად. მაგრამ ფეხის დადგმის შემდეგ (კადრი 8) აქ ხდება ერთგვარი შეფერხება. რაც გამოწვეულია კორპუსის პასიური მდგომარეობით ფრენში და ხელების არასწორი მუშაობით. მე-6 კადრზე მხტომელის კორპუსი გაცილებით წინ უნდა იყოს დახრილი, ხოლო ხელები — უკან გატანილი. ხელების ასეთი მუშაობა აუმჯობესებს საწყის მდგომარეობას მესამე ნახტომის წინ და აგრეთვე ხელს უწყობს არეკნსაც.

ხელების არასწორი მუშაობის გამო „ნაბიჯში", მხტომელი რამდენადმე ტრიალდება მარჯვნივ „ნახტომის" ფრენის ფაზაში (კადრი 10). ამის შედეგად ალექსანდროვი ვერ ასწრებს ხელების უკან გატანას და მიწაზე დაშვებამდე ფეხების წინ და მაღლა აწევას (კადრი 11).



ტექსტი და კინოგრამა ე. ბაბუასი

ლიდერობენ მაი და «ჟალგირისი»

(დასასრული)

შეჯიბრების მეოთხე ტური მეტად დაძაბული გამოდგა. თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდის წინააღმდეგ თამაშობდნენ ლენინგრადელი თანაკლუბელები. თბილისელმა სპორტსმენებმა ეს შეხვედრაც მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს. მატჩის ბედი უნდა გადაეწყვიტა გუნდების ლიდერთა — გნიოტოვასა (თბილისი) და ზაზნობინას (ლენინგრადი) ორთაბრძოლას. თბილისელებმა თამაშის სწორი ტაქტიკა აირჩიეს, არ დაეყრდნენ მხოლოდ ცენტრალურ თავდამსხმელს და მოწინააღმდეგის ფარს კოლექტიურად უტევდნენ. ამან სასურველი შედეგი გამოიღო. ჩვენმა კალათბურთელებმა მართალია წააგეს პირველი ნახევარი (24:35), მაგრამ შემდგომში მოახერხეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვეს — 60:49.

მოსკოვის „სტროიტელმა" დაამარცხა ერევნის „ბურევესტნიკი" — 76:41. მაი-მ—მოსკოვის „მეტალურგი" — 80:50, კაუნასის „ჟალგირისმა" — კიშინიოვის „დინამო"—53:33. ძლიერად ჩაატარა შეხვედრა ტარტუს „კალევმა" მოსკოვის „დინამოს" ქალთა კოლექტივის წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ესტონელ სპორტსმენთა გამარჯვებით — 71:62.

თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდი მოსკოვის „სპარტაკის" წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ქორქია, გვანცელაძე, ინწკირველი, მინაშვილი, ულენტი. სპარტაკელთა შორის იყვნენ: კულაგინი, სმოლიანინოვი, ელისეევი, გალიშინი, ჩერნობილსკი. სპარტაკელებმა თავიდანვე მიზნად დაისახეს წაეგოთ თამაში პატარა ანგარიშით, ამიტომ ბურთს დიდხანს ათამაშებდნენ. მე-10 წუთზე დინამოელებს მიჰყავდათ ანგარიში — 14:7. პირველი ნახევრის შემდეგ თბილისის „დინამო" წინ იყო ორი ქულით — 16:14.

მეორე ნახევარში გვანცელაძე შეცვალა გივი აბაშიძემ, ინწკირველი — კილაძემ. ინიციატივა მთლიანად დინამოელთა მხარეს გადადის, რასაც ისინი ინარჩუნებენ შეხვედრის დამთავრებამდე. მატჩის საბოლოო შედეგია — 43:28.

ამ დღის ცენტრალური შეხვედრა იყო მატჩი თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდსა და მოსკოვის „დინამოს" შორის. არმიელთა რიგებში გამოდიოდნენ: სემიონოვი, [illegible], კონევი, მოისეევი, ანტონოვი. „დინამოს" ღირსებას იცავდნენ: ოზეროვი, ვლასოვი, ტორბანი, გაევსკი და სტუდენეცკი. შეხვედრის პირველი ნახევრის დამთავრებას აკლდა ორიოდე წუთი. ანგარიში მიჰყავდათ არმიელ სპორტსმენებს — 35:31. ვლასოვმა ბურთი ცენტრიდან მოათავსა მოწინააღმდეგის კალათში და თამაშის ოცი წუთიც ამოიწურა.

მეორე ნახევარში პერსონალური შეცდომების გამო მოედანს სტოვებენ კონევი და ოზეროვი. 37-ე წუთზე არმიელები წინ იყვნენ ერთი ქულით, მაგრამ ტორბანი სამ ქულას აძლევს „დინამოს". 50 წამი აკლდა თამაშის დამთავრებას, როდესაც იაკუშინმა (მან მოისეევი შეცვალა) გაათანაბრა ანგარიში—60:60. დამატებით 5 წუთში სემიონოვის მიერ ნატყორცნი ბურთის შემდეგ წინ გადიან არმიელები. ტორბანი ათავსებს საპასუხო ბურთს და ორ ჯარიმას. თამაში „დინამოს" მიჰყავს ორი ქულით. მოედანს სტოვებს სემიონოვი. არმიელები საბოლოოდ ბურთს ათამაშებენ უკანასკნელ წამამდე, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევენ. დაძაბულ შეხვედრას იგებს მოსკოვის „დინამო" — 64:62.

სვერდლოვსკის გუნდმა დამარცხება განიცადა კიევის ოფიცერთა სახლის გუნდთან — 62:74. რიგის ოფიცერთა სახლის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ტარტუს „კალევთან" — 84 : 67.

დიდხანს მიჰყავდა ანგარიში ლენინგრადის „ბურევესტნიკს" კაუნასის „ჟალგირისთან" შეხვედრაში, მაგრამ მოედანს თანდათან სტოვებდნენ ლენინგრადელთა უძლიერესი მოთამაშეები პეტკიავიჩიუსი, ფომიჩევი. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ლიტველებს თამაშში გარდატეხა შეეტანათ და იგი თავის სასარგებლოდ დაემთავრებინათ — 74:67.

29 აგვისტოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ისვენებდნენ.

ვ. ულენტი
კაუნასი. ჩვენი სპეც. კორ.

მინსკის სპორტთამაშობათა სტადიონზე

მინსკში, სპორტთამაშობათა სტადიონზე 21 აგვისტოს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში „ბ" კლასის გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები — სულ 36 კოლექტივი.

სპორტსმენები დაყოფილი არიან (როგორც ქალები, ისე ვაჟები) სამ ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში პირველ ორ ადგილზე გამოსულები ითამაშებენ ფინალში, სადაც გამოვლინდება ადგილები 11-დან 16-მდე (პირველი ათი ადგილი თამაშდება კაუნასში „ა" ჯგუფის გუნდებს შორის). მე-11 და მე-12 ადგილებზე გამოსული კოლექტივები მომავალ წელს „ა" ჯგუფში თამაშის უფლებას მოიპოვებენ. ქალთა ჩემპიონატში საქართველოდან გამოდის თბილისის „ბურევესტნიკი" (სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი), მათთან ერთად ქვეჯგუფში არიან ტალინის „დინამო", ტაშკენტის ოფიცერთა სახლი, მოსკოვის „ლოკომოტივი", კიშინიოვის „ბურევესტნიკი" და კიევის „ბურევესტნიკი" (კონკურსს გარეშე).

ქუთაისის წერეთლის სახ. კლუბის ვაჟთა გუნდთან ერთად ქვეჯგუფში გამოდიან მოსკოვის „ლოკომოტივი", ლენინგრადის ოფიცერთა სახლი, ვილნიუსის „სპარტაკი", სტალინაბადის „ბურევესტნიკი" და ტაშკენტის „დინამო".

ჩემპიონატის პირველი დღის ცენტრალური მატჩი იყო თბილისის „ბურევესტნიკისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" შეხვედრა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ძლიერად ჩაატარეს ეს თამაში. მათ მთელი შეხვედრის განმავლობაში მიჰყავდათ ანგარიში და ინიციატივა ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. შეხვედრა მოიგეს თბილისელმა სპორტსმენებმა—63:45.

ტალინის „დინამოსთან" შეხვედრაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენმა ქალებმა ვერ გამოიყენეს თამაშის უკანასკნელ წამებში ოთხი საჯარიმო ტყორცნა და წააგეს მატჩი ორი ქულით — 52:54. ძლიერად ჩაატარეს თბილისელებმა ორი მომდევნო შეხვედრა კიშინიოვის „ბურევესტნიკთან" და ტაშკენტის ოფიცერთა სახლის გუნდთან და მოიგეს შესაბამისად 78:49 და 56: 42. უკანასკნელი შეხვედრა თბილისის გუნდმა წააგო კიევის „ბურევესტნიკთან" (56:82), მაგრამ ამ მატჩს მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან კიევის გუნდი კონკურსს გარეშე გამოდიოდა. ამრიგად თბილისის ქალთა გუნდმა მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

სუსტად გამოდის შეჯიბრებაზე ქუთაისის წერეთლის სახ. კლუბის ვაჟთა გუნდი. პირველი შეხვედრა ვილნიუსის „სპარტაკთან" მან წააგო 41 : 85. ქუთაისელთა დამარცხებით აღინიშნა მატჩი ტაშკენტის „დინამოსთან" — 69 : 85 და ლენინგრადის ოფიცერთა სახლთან — 64 : 109. ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელებმა მოიგეს მატჩი სტალინგრადის „ბურევესტნიკს" — 68 : 61.

ე. აბაიშვილი,
მინსკი. ჩვენი სპეც. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს

ინდოეთი (ნაკრები) — საქართველო (ნაკრები). მსაჯი ვ. რამიშვილი

ზუსტად ორი წლის წინ 1953 წლის აგვისტოს დასასრულს, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვივნენ სტუმრები შორეული ინდოეთიდან. ეს იყო ინდოეთის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთის გუნდი „ისტ ბენგალ კლუბი“ (კალკუტა). თბილისელებმა გულთბილად, მეგობრულად მიიღეს სამხრეთელი სტუმრები. ასეთივე ვითარებაში ჩატარდა კალკუტელთა მატჩი თბილისის „დინამოსთან“.

ახლა მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის ეროვნული ნაკრები გუნდი, რომელიც 28 აგვისტოს „დინამოს“ სტადიონზე ეთამაშა საქართველოს ნაკრებს.

... მწვანე მინდორზე ერთმანეთის მხარდამხარ მწყობრი ნაბიჯებით გამოვიდნენ მატჩის მონაწილე გუნდები — ინდოეთისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივების ფეხბურთელები და მოედნის ცენტრში მოეწყვნენ. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ინდოეთის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი, სრულიად ინდოეთის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ბ-ნი გუპტა.

საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა მეგობრებს გადასცეს ყვავილების თაიგულები. სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს, ყვავილებით ხელში გაეშურნენ ტრიბუნებისაკენ და თაიგულები მაყურებლებში გაჰფანტეს.

დამთავრდა მოთელვა. რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ვ. რამიშვილმა მოედანზე გამოიწვია ფეხბურთელები. ინდოეთის ნაკრები გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: სანჯიბა, ლაკიფი, მანა, ჩანდასინგჰი, სალამი, კრისტი, კანიანი, ლაიკი, გოში, ბაჰადური, ანტონი. საქართველოს ნაკრებ გუნდში იყვნენ: კიტია, ხოჭოლავა, გოგლიძე, ელოშვილი, დავარაშვილი („დინამო“), ავეტისოვი (თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი), კოტრიკაძე, ქ. გაგნიძე, ლოლობერიძე („დინამო“), ნორაკიძე (თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი), ხასაია („დინამო“).

დაიწყო თამაში. ინდოელებმა სწრაფად გაითამაშეს კომბინაცია მარჯვენა ფრთაზე და ბურთი ცენტრში გადაიყვანეს, სადაც ბაჰადურმა ოდნავ დააგვიანა თავისუფალ ადგილზე გასვლა. წუთის შემდეგ სტუმრებმა იგივე კომბინაცია საწინააღმდეგო ვარიანტით შეასრულეს — ბაჰადურმა ცენტრიდან მარჯვენა ფრთაზე გაგზავნა ბურთი, სადაც მას კანიანი უცდიდა. ელოშვილმა და კიტიამ შეძლეს ხიფათის უვნებელყოფა.

მესამე წუთზე მასპინძლები მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდნენ. მარცხენა ფლანგზე დანიშნულ იქნა საჯარიმო. ხასაიამ კარის შორეულ კუთხეში დაარტყა. ბურთი არ იყო ძნელი ასაღები, მაგრამ სანჯიბას ყურადღება მიიპყრო ბურთზე გამოსულმა გაგნიძემ, იგი მის შესახვედრად გამოვიდა და... გაუშვა გოლი — 1:0.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ინდოელთა კარი სამ-ოთხჯერ იყო რეალური საშიშროების წინაშე. ჯერ გაგნიძე გაიჭრა წინ და კართან მარტო დარჩენილ კოტრიკაძეს გადააწოდა, რომლის დარტყმა ოდნავ აცდა მიზანს. შემდეგ როლები შეიცვალა: კოტრიკაძე გაექცა მცველს და მიაწოდა გაგნიძეს, რომელმაც აგრეთვე ააცილა კარს.

ცოტა ხანში სტუმრებს მეორედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან. ლოლობერიძემ, ნორაკიძემ და ხასაიამ სწრაფად გაითამაშეს ერთმანეთს შორის ბურთი. საბოლოოდ იგი გადაეცა კოტრიკაძეს, რომელმაც დაბალი ბურთი გაგზავნა კუთხეში — 2:0.

პირველი წარუმატებლობის შემდეგ სტუმრებმა შეძლეს წინ გადმოენაცვლათ. მათი გეგმა შემდგომში მდგომარეობდა: შორეული, მოულოდნელი გადაცემით გარღვევაზე გაეყვანათ მეტად სწრაფი გარემარბები, ან ასევე მოულოდნელად შეექმნათ „დერეფანი“ ცენტრალური თავდამსხმელის — გოშისთვის. ინდოელთა თავდამსხმელები ბევრს მოძრაობენ, კარგად ახერხებენ მოწინააღმდეგისაგან მოწყვეტას და ბურთის მიღებას საკმაოდ ხელსაყრელ მდგომარეობაში, მაგრამ მათ დამუშავებული არა აქვთ ტიპიური კომბინაციები, ვერ პოულობენ შეტევის გაგრძელების გზებს და იშვიათად ურტყამენ კარში. მაინც, სტუმრების გრძელ გადაცემებს შეუძლია მოწინააღმდეგე მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდოს.

თავდასხმისგან განსხვავებით, ინდოელთა მცველები ნელა დარბიან და, გარდა ამისა, მჭიდროდ არ იჭერენ პერსონალურად განკუთვნილ მეტოქეებს. მოედნის შუაში დაშვებული შეცდომის შედეგად მათ ძალების უკიდურესი დაძაბვა უხდებათ კარის წინ.

თბილისელთა ერთ-ერთი შეტევისას ლაკიფმა დაუშვა შეცდომა და საშუალება მისცა ხასაიას დაუბრკოლებლად გასულიყო პირით ხაზამდე. გარღვევის შემდეგ ხასაიამ ბურთი ჩააწოდა ცენტრისკენ, სადაც გავიდა სანჯიბა და აიღო ბურთი, მაგრამ მეკარემ ვერ გამოზომა თავისი მოძრაობა და აღებული ბურთი გაუშვა ხელებიდან. კოტრიკაძემ გაიტანა მესამე ბურთი — 3:0.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში სწრაფად იზრდებოდა მოწინააღმდეგის სასარგებლოდ, ინდოელთა გუნდი ერთსულოვნად, მწყობრად თამაშობდა. მათი ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი კანიანი საფუძვლიანად ჰყავდა ჩაკეტილი ელოშვილს და თავდამსხმელთაგან სხვამ ვერავინ შეძლო შეტევის ორგანიზატორობა. ეს გარემოება მნიშვნელოვნად უადვილებდა თამაშს მასპინძელთა დაცვას. საკმაოდ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ შეძლეს კარში ზუსტად დარტყმა ლაიკმა, კანიანმა, ანტონიმ.

მოედანს კვლავ საქართველოს გუნდი დაეპატრონა და მალე სანჯიბამ ორი ბურთი ზედიზედ გამოიტანა ბადიდან — პირველად იგი გაიტანა ლოლობერიძემ გაგნიძის მოწოდებიდან, შემდეგ გაგნიძე ფლანგიდან გაიჭრა და ზუსტი დარტყმით დაამთავრა იერიში — 5:0.

36-ე წუთზე სტუმრებმა კარგად გაითამაშეს კუთხური საჯარიმო, რომელიც კიტიამ მაღალ ნახტომში მოიგერია. ტაიმის დასასრულამდე ლაიკმა ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა და დაკარგა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ ინდოელებმა გაცილებით გააუმჯობესეს თამაში. მცველებმა მჭიდროდ აიყვანეს მოწინააღმდეგე თავდამსხმელები, ისინი ცდილობდნენ ბურთს დაუფლებოდნენ საჯარიმო მოედნამდე, შუამარბები ხშირად ძევდნენ ზურგში და ეხმარებოდნენ ნახევარმცველებს.

პირველ ტაიმში ფლანგური იერიშების შედეგად ინდოელთა კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. მათ ეს გაითვალისწინეს მეორე ტაიმში, მოძებნეს საშუალება მისი უვნებელყოფისათვის, ამიტომ კოტრიკაძისა და ხასაიას გარღვევები ისე სახიფათო და მწვავე აღარ იყო.

75-ე წუთზე გაგნიძე კარგად გავიდა მარჯვენა მხრიდან და ბურთი ჩააწოდა ლოლობერიძეს, რომელმაც იგი კარში გაგზავნა — 6:0.

შემდგომ ბრძოლას ანგარიში აღარ შეუცვლია. გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა.

მსაჯის ფინალური სასტვენის შემდეგ სპორტულმა მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს მეგობრულად ჩამოართვეს ხელი და მაყურებელთა გულთბილი ტაშის ქვეშ დატოვეს მოედანი.

გ. ქორქია

• • •

სურათზე: (მარცხნივ) ინდოელ სტუმრებს ყვავილების თაიგულებს გადასცემენ ხიდისთაველი პიონერები. „დინამოს“ სტადიონი. ინდოელ და ქართველ ფეხბურთელთა გულთბილი შეხვედრის მომენტი. (წრეში) თამაშის დაწყების წინ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 31 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	20	14	4	2	48:14	32
„სპარტაკი“ მ.	18	12	2	4	45:22	26
ცდსა	18	10	6	2	27:14	26
„ლოკომოტივი“	18	6	7	5	27:23	19
„ტორპედო“	17	6	7	4	24:25	19
„დინამო“ კ.	18	7	5	6	26:29	19
„ზენიტი“	18	5	6	7	19:28	16
„დინამო“ თბ.	19	6	3	10	23:31	15
„შახტიორი“	18	3	8	7	21:30	14
„შრ. რეზერვ“.	20	4	6	10	25:37	14
„კრ. სოვეტ“.	18	3	4	11	16:34	10
„სპარტაკი“ მნ.	18	2	6	10	12:26	10

„ა“ კლასში

მოსკოვი. 28 აგვისტო. აქ ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი „დინამო“ (მოსკოვი) და ცდსა.

დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს დინამოელებმა — 4:0.

მოსკოვი. 30 აგვისტო. მოსკოვის „სპარტაკი“ შეხვდა მოსკოვის „ტორპედოს“.

გაიმარჯვეს ტორპედოელებმა—4:3.

კიევი. 30 აგვისტო. კიევის „დინამომ“ თავის მოედანზე მიიღო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“.

მატჩი მოიგო კიევის „დინამომ“ — 4 : 1.

თბილისელთა გამარჯვება

29 აგვისტოს თბილისის მოზარდ ფეხბურთელთა სკოლის გუნდმა „დინამოს“ სტადიონზე მიიღო ლენინგრადის თანასკოლელთა კოლექტივი.

მატჩის დასაწყისიდან კარგა ხნის განმავლობაში უპირატესობა ლენინგრადელთა მხარეს იყო. მათი თავდამსხმელები გაშლილად, ტემპიანად უტევდნენ მასპინძელთა კარს და მარცხენა გარემარბმა კურჩაევენკომა მცველის შეცდომის შედეგად მეტად ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. თბილისელთა დაცვაში, როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა ცენტრალური მცველი კასრაძე.

შემდგომში ლენინგრადელთა იერიშები ამოიწურა და თამაშმა მათ ნახევარზე გადაინაცვლა. 25-ე წუთზე გვიმრაძემ (№ 5) საჯარიმო დარტყმიდან გაიტანა პირველი ბურთი, ხოლო მალე მარცხენა გარემარბმა ასლამაზოვმა კარგად გამოიყენა კახიანის (№7) გადაცემა — 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისი თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა თბილისელთა იერიშები უფრო გეგმიანი და ეფექტური იყო. ლენინგრადელთა მეკარემ ვასილიევმა აიღო რამდენიმე ძნელი ბურთი.

75-ე წუთზე სტუმართა მცველმა აფანასიევმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშა და გვიმრაძემ 11-მეტრიანი საჯარიმოდან ანგარიში სამამდე გაზარდა. 5 წუთის შემდეგ ლენინგრადელთა ნახევარმცველი დერგაჩოვი ბურთიანად შევიდა სახიფათო ზონაში და ანგარიში გახდა — 1:3.

მატჩის დასასრულს სტუმრები ზედმეტად გაერთვნენ შეტევით, რაც კარგად გამოიყენეს თბილისელებმა. იოსელიანი (№ 8) გაიჭრა წინ და გაიტანა კიდევ მეოთხე ბურთი.

თბილისის მოზარდმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს მორიგი გამარჯვება — 4:1.

ქ. ნოზაძე

საქართველოს პირველობა

ჩატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში

ქუთაისის „დინამომ“ თავის მოედანზე მიიღო გორის თანაკლუბელთა გუნდი. თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ქუთაისელმა ფირცხალავამ გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

ბორჯომის „პიშჩევიკი“ თბილისში შეხვდა 26 კომ. სახ. რაიონის გუნდს. სტუმრებმა პირველ ტაიმში გახსნეს ანგარიში, მაგრამ მასპინძლებმა შესვენების შემდეგ გაიტანეს ორი ბურთი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

მახარაძეში თამაშობდნენ ადგილობრივი „კოლმეურნე“ და თბილისის „დინამო“ I. თამაშის პირველ ნახევარში „კოლმეურნის“ ნახევარმცველმა ტაბიძემ ორი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. შემდგომში დინამოელებმა შეძლეს ორი ბურთის გატანა, მაგრამ თავის კარში მიიღეს კიდევ ერთი. გაიმარჯვა „კოლმეურნემ“ — 3:2.

ფოთის ნაკრებმა გუნდმა თავის მოედანზე მიიღო ბათუმის „დინამო“. ბათუმლებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 5:1.

კარგად ჩაატარა შეხვედრა რუსთავის „მეტალურგმა“ ქობულეთში ადგილობრივი „კოლმეურნის“ წინააღმდეგ. მეტად მწვავე ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა „მეტალურგის“ კოლექტივმა — 3:2.

გასულ კვირას თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი ქუთაისის „დინამო“ და თბილისის „ლოკომოტივი“. თამაშის პირველ ნახევარში ლოკომოტიველმა თოდრიამ კარგად გამოიყენა ჭკუასელის გადაცემა და შორი მანძილიდან გაიტანა გოლი. შესვენების შემდეგ დინამოელებს ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ რკინიგზელებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება თავის სასარგებლოდ.

ბორჯომის „პიშჩევიკმა“ თავის მოედანზე მიიღო ფოთის ნაკრები გუნდი. ანგარიში გახსნა ბორჯომელმა მეტრეველმა. შემდგომში მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში გაიტანეს თითო ბურთი და მატჩი დამთავრდა „პიშჩევიკის“ სასარგებლოდ ანგარიშით 2:1.

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა მატჩი ჩაატარა გორში ადგილობრივ „დინამოს“ წინააღმდეგ. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. მეორე ტაიმში გორელებმა ორი ბურთი გაიტანეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:0.

ორი თამაში გაიმართა სოხუმში. ეს იყო პირველი და მეორე წრის მატჩები სოხუმისა და თბილისის „დინამო“ I თანაკლუბელთა შორის. პირველ დღეს დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს სოხუმელებმა—1:0. მეორე მატჩი აღინიშნა მასპინძელთა დიდი უპირატესობით, რომელთაც გაიმარჯვეს კვლავ „მშრალი“ ანგარიშით — 5:0.

„კოლმეურნის“ ჩემპიონატი

ლანჩხუთი. (ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). აქ დაიწყო „კოლმეურნის“ რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალი ფეხბურთში.

ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ათმა გუნდმა (ქობულეთი, ლანჩხუთი, ასპინძა, გურჯაანი, წულუკიძე, გალი, მახარაძე, ბოლნისი, სტალინირი, ხობი).

ლანჩხუთის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს გათამაშებისადმი. სტადიონი, სადაც წარმოებს მატჩები, ყოველთვის სავსეა მაყურებლებით.

პირველი შეხვედრების შედეგი ასეთია: გალი-ასპინძა — 6:2, წულუკიძე-გურჯაანი — 4:2, ლანჩხუთი-სტალინირი — 5:0, ბოლნისი-ხობი — 4:1, გურჯაანი-ასპინძა — 9:0. განსაკუთრებით საინტერესო იყო ქობულეთისა და გალის გუნდების მატჩი. 60 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა, თუმცა გალელებს ჰქონდათ მცირე უპირატესობა. შემდგომში ქობულეთის გუნდმა გააძლიერა თამაში და ზედიზედ 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

შეჯიბრება გრძელდება.

ა. გონელი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ათანასე მანდოჯიევი

გადამწყვეტი ტყორცნა



◆

მოთხრობა

◆

ამ ცოტა ხნის წინათ მე და ჩემი საბჭოთა მეგობარი ორლოვი, ყოფილი კალათბურთელი, რომელიც ერთ დროს მოსკოვის ერთ-ერთ გუნდში თამაშობდა, ვესწრებოდით სოფიის სტუდენტთა ძლიერი გუნდების ფინალურ შეჯიბრებას. ერთმანეთს ხვდებოდნენ უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები.

ამ მეტად საინტერესო და დაძაბული შეხვედრის დასასრულს, როდესაც ანგარიში იყო 59.58 პოლიტექნიკოსთა სასარგებლოდ, უნივერსიტეტის გუნდმა ორი საჯარიმო ტყორცნის უფლება მიიღო. მოთამაშეები სწრაფად განლაგდნენ „დერეფნის" ორივე მხარეს. აშკარად იგრძნობოდა, რომ დაძაბულობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. დარბაზში წარმოუდგენელი რამ ხდება. გაისმის მსაჯის სასტვენის მკვეთრი ხმა და ბურთი ზუსტად ეშვება ბადეში. ხმაური სწრაფად წყდება. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია უკანასკნელ ტყორცნაზე. მოთამაშე კვლავ იღებს ბურთს და ტყორცნის... ბურთი ხვდება რკალს, შემდეგ ფარს და ოდნავ ჩერდება, ბოლოს კი ნელ-ნელა ეშვება ბადეში...

შემთხვევით თავი ორლოვისაკენ მივაბრუნე. მას თვალებზე ხელი აეფარებინა, სახეზე სუდარისფერი ედო. უცებ თვალებიდან ხელი მოიშორა და მკითხა:

— ბურთი რომ კალათში არ ჩავარდნილიყო, რას იფიქრებდით?

— არაფერს, მეწყინებოდა, მეტი რა! — მივუგე გაოცებულმა.

— ჩემო ათანას, აბა წარმოიდგინე კალათბურთის მოედანი. ცალი დგარი, მაყურებლის გარეშე, ანდა უფრო სწორად... იქვე გვერდზე მძიმე ტყვიამფრქვევის კაკანი... თუმცა უკეთესია, თავიდანვე დალაგებით მოგიყვები:

ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის მაისში როგორღაც იქნა მოვახერხე და გავიქეცი საკონცენტრაციო ბანაკიდან, რომელიც ვარშავის მახლობლად მდებარეობდა მთელი კვირა ქალაქში ვიმალებოდი შემდეგ კი ხელთ ჩაუვარდი გესტაპოელებს. მიმიყვანეს სკოლაში, რომელიც გერმანელებს სამოქალაქო ციხედ გადაექციათ. პირველ ხანებში აქ ხუთასამდე ქალი და კაცი ჰყავდათ დამწყვდეული. უმრავლესობა, რასაკვირველია, პოლონელები იყვნენ. შემდეგ გესტაპოელებმა ყოველდღიურად დაიწყეს ციხიდან ორმოცდაათი კაცის გაყვანა. ამის შემდეგ არ გავიდოდა რამდენიმე წუთიც, რომ სულ ახლო, გვერდზე, ტყვიამფრქვევებიც აკაკანდებოდნენ ხოლმე. განწირულნი, რასაკვირველია, უკან დაბრუნებულნი აღარ გვინახავს. ასე რომ, დასჯილთა რიცხვი ყოველდღიურად თანდათანობით მცირდებოდა.

ერთ დღეს მეც მოვხვდი იმათ რიცხვში, ვისაც ციხე უნდა დაეტოვებინა. ჩვენ კიბეებზე დავეშვით, ეზოში გამოვედით, დავეწყვეთ და ქუჩაში გავედით. სულ მალე ერთ პატარა მინდორზე შევჩერდით. მინდვრის თავში გერმანელი ოფიცრების მცირე ჯგუფს მოეყარა თავი, ბოლოში კი ახლად ამოთხრილი ორმოები მოჩანდა. ჩვენ ოფიცრებთან მიგვიყვანეს. ძალზე გავოცდი, როდესაც მათ ახლო დავინახე კალათბურთის დგარი მოღრეცილი რკალით და ძველი ბადით. უნებურად თავი უკან მოვაბრუნე, მეორე დგარს დავუწყე ძებნა, მაგრამ, ამაოდ. იგი არსად ჩანდა. მყის ფიქრებმა მოსკოვში გამიტაცეს, „დინამოს" სტადიონის საუცხოოდ მოწყობილ კალათბურთის მოედანზე. მაგრამ, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. გესტაპოელის უხეშმა ხმამ ფიქრებიდან გამომიყვანა. ჩემს წინ იდგა ახალგაზრდა კაცი უფერული თვალებითა და თხელი ქერა ულვაშებით.

— ყურადღება! თქვენ მისჯილი გაქვთ სიკვდილი, მაგრამ ბატონ პოლკოვნიკის წყალობით, საშუალება გეძლევათ თავი გადაირჩინოთ. ყოველ თქვენგანს უფლება აქვს ამ ადგილიდან — მან ფეხით გვიჩვენა მიწაზე გავლებული ხაზი, — კალათს ათჯერ ესროლოს, ვინც ათიდან რვას ჩააგდებს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუ არა და დახვრეტა არ აგცდებათ! როგორც ზღაპარში, ასეა არა? თუ კი ერთი ღამის განმავლობაში ჩალას ოქროდ არ აქცევ, სიკვდილი გელის! თქვენ კი, თქმა არ უნდა, უკეთეს პირობებს გთავაზობენ; თქვენგან მოითხოვენ კალათში ჩააგდოთ არა ათი ბურთი, არამედ მხოლოდ რვა.

ოფიცრებმა ხმამაღლა გადაიხარხარეს თავიანთი კოლეგის ამ უშნო ხუმრობაზე.

მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. კალათბურთის „მოყვარულმა" ამ საზიზღარმა და ცინიკოსმა პოლკოვნიკმა არაადამიანური წამება მოიგონა. მკვლელებს სურდათ დამტკბარიყვნენ თვითეული ჩვენგანის ტანჯვით. ათი ბურთიდან ჩააგდო რვა! ეს ხომ ძალზე ძნელია, კარგ მოთამაშესაც კი გაუჭირდება.

სიცოცხლე ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის. ვინ არ შეეცდებოდა დათანხმებულიყო ამ საბედისწერო ტყორცნებზე, ოღონდ კი თავი გადაერჩინა? ვინ იცის, იქნებ სასწაული მომხდარიყო!

განწირულთა შიში, შემდეგ იმედის ნაპერწკალი მათ თვალებში, მღელვარება, ბედის ცდა. უიმედობა, სასოწარკვეთილება, უსუსურობა — ყველაფერი ეს გესტაპოელებს ძალზე გასართობად მიაჩნდათ და ტკბებოდნენ კიდეც ამით ამ პატარა სცენებით, რომლებიც ერთი მეორის მიყოლებით იცვლებოდნენ შესაძლებელია, მხოლოდ მე ვიყავი მზად ამ სასტიკი და არაადამიანური გამოცდისათვის?

აი, ფეხით გავლებულ საჯარიმო ხაზზე დგება შუახნის კაცი. ჭაღარათმა აბურძგვნია სახეზე მკვდრის ფერი დადებია, ხელები უკანკალებს. იგი მძიმედ იხრება ბურთს იღებს მხრები ზევით აქვს... არა ასე უხერხულია, ძირს უშვებს, მუხლებშუა ამოიღებს, ფიქრობს, ბურთი კვლავ მხრებს ზევით აიტანა, ტყორცნის. ბურთი დგარამდე არც კი აღწევს, ძირს ვარდება. კვლავ იღებს ბურთს. მეორედ ტყორცნის. აშკარად ძალზე ძლიერად ისროლა. ბურთი მოხვდა ფარს, უკან დაბრუნდა და მის ფეხებთან დაეცა. მესამეჯერ ქვევიდან, ფეხებიდან, ისროლა ფრენის პარაბოლა სწორი იყო, მაგრამ ოდნავ მოკლე. უბედურმა ღრმად ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოიტანა. იგი გვერდზე გაიყვანეს. კიდევ ნერვიულობდა მესამეჯერ რომ სწორად ესროლა, ვინ იცის, იქნებ გამოსვლოდა რამე?..

ახლა საჯარიმო ხაზზე დადგა მეორე სიკვდილმისჯილი, თითქმის მოხუცი. მან ხელებში უხერხულად შეათამაშა ბურთი. შემდეგ სიბრაზით ძირს დაანარცხა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— არა, არ შემიძლია!

— სამწუხაროა, — დაბნეულად უპასუხა ოფიცერმა და საბრალო მოხუცი გვერდზე გაიყვანა.

სადღაც გულშემზარავი კივილი გაისმა, რასაც მალე ტყვიამფრქვევების შემაზრზენი კაკანი მოჰყვა.

საჯარიმო მოედანზე ერთმანეთს ცვლიდნენ სიკვდილმისჯილნი, მაგრამ ამაოდ, ჩვენი ჯგუფი თანდათანობით მცირდებოდა. ოციღა დავრჩით, ჩემი რიგიც ახლოვდებოდა.

ხაზთან ახალგაზრდა გავიდა. ბურთი სწორად იჭირა, მაგრამ ეტყობოდა, რომ საკმაოდ გამოუცდელი იყო. პირველი ტყორცნა იღბლიანი გამოდგა. ბურთი ბადეში ჩაეშვა. შემდეგ, ყველას გასაოცრად, სამი ბურთი ზედიზედ ჩააგდო. ყველას გამოცოცხლება დაეტყო, ეგებ მას მაინც გაუღიმოს ბედმა! იმედი მოგვეცა. თუ კი ეს ახალგაზრდა გაექცა სიკვდილს ვინ იცის, იქნებ ჩვენც გადავრჩეთ. ოღონდ ერთმა დააღწიოს თავი, შემდეგ ყველაფერი თავისთავად წავა. მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდამ სამი ბურთი ერთიმეორის მიყოლებით გააფუჭა.

კვლავ უიმედობამ შეგვიპყრო. არა, შეუძლებელი იყო გადარჩენაზე ფიქრი. გესტაპოელები პაპიროსს არხეინად აბოლებდნენ და ჩანდა ძალზე ტკბებოდნენ პოლკოვნიკის მიერ მოგონილი ამ შემაძრწუნებელი თამაშით.

ბოლოს ჩემი რიგიც დადგა. ხაზზე გავედი. ამ წუთს შეპყრობილი ვიყავი სიძულვილის უსაზღვრო გრძნობით და სურვილით, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა მკვლელებისათვის დამემტკიცებინა, რომ ამ საშინელი წამებით ისინი ვერაფერს გააწყობენ, ვერ გასტეხენ ჩვენს ნებისყოფას.

ბურთი ავიღე, ბურთს არა უშავს — კარგია, მაგრამ, მგონი, ჩვეულებრივზე ცოტა მძიმეა. ოფიცრებს გადავხედე. მუხლებს შორის ორივე ხელით მსუბუქად დავიჭირე ბურთი. ფარს ავხედე. რკალი ოდნავ მოხრილი იყო.

საერთოდ, ყველაზე ძნელია პირველი სროლა. იმიტომ, რომ ამ დროს დარწმუნებული არა ხარ ჩააგდებ თუ არა, მით უმეტეს, თუ კი სხვის მოედანზე ხარ. ასე, რომ პირველი ბურთი უფრო ორიენტაციის მაგივრობას წევს, მაგრამ, ახლა ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ არ ჩამეგდო. მოვემზადე. არაფერი არ მესმოდა, ვერაფერს ვერ ვხედავდი გარდა ფარისა. დავუმიზნე ამ საბედისწერო წამს უცებ გამახსენდა ჩვენი მწვრთნელი პეტრე დემიანიჩი, ვარჯიშის დროს იგი ყოველთვის გვაიძულებდა საჯარიმოდან ასი ტყორცნა შეგვესრულებინა. ვაი მას, ვინც სამოცდაათზე ნაკლებს ჩააგდებდა.

„დემიანიჩ, ჩემო საყვარელო დემიანიჩ, მითხარი ჩავაგდებ თუ ვერა? აი, ახლაც მესმის შენი დარიგება: ძირს ნუ იხედები! დადექ უძრავად! თავი თავისუფლად გეჭიროს! ფეხები ოდნავ გაშალე! ხელებს მაგრად ნუ უჭერ, ბურთი თავისუფლად გეჭიროს! აბა, გაბედულად და დაჯერებულად ტყორცნე".

ბურთმა ჰაერში ნელა შემოხაზა წრე და მოხრილ რკალში ჩაეშვა.

მორიგი ტყორცნისათვის მოვემზადე. ახლა აღარ ვღელავ, დავმშვიდდი. თავს ძალას ვატან, ვარწმუნებ: საჭიროა მხოლოდ ყურადღებით ვიყო, ვტყორცნე. ჰოპ, [illegible]!

მესამე და მეოთხე სროლა კარგი გამომივიდა, მეხუთეზე კი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდი. ბურთი მოხვდა ფარს, მაგრამ მაინც ჩაძვრა ბადეში. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მე კვლავ ვღელავდი. საჭიროა ცოტა ხანს შევისვენო, ასეც ვიქცევი. დავწყნარდი, შევამჩნიე რომ ოფიცრები გაოცებით მიცქეროდნენ. ჩემი ამხანაგები სუნთქვაშეკრული იდგნენ. მათ თვალებში იმედის სხივი დავინახე. ჩემთვის ყველაზე რთული მეექვსე ტყორცნა გამოდგა. თუ კი ასეთ ნერვულ მდგომარეობაში ამ მეექვსე ბურთსაც ჩავაგდებ, შემდეგ საშიში უკვე აღარაფერია, ყველაფერი იოლად წავა. ამ წუთში მე აღმოვჩნდი ისეთ მდგომარეობაში, როგორც ერთხელ თბილისელებთან თამაშის დროს. საქმე ისე იყო, უნდა ჩამეგდო საჯარიმო, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მოწინააღმდეგე ჩვენ ერთი ქულით გვისწრებდა. თამაშის დამთავრებას კი ორი წუთი აკლდა. მე მაშინ ძალზე დაღლილი ვიყავი, მძიმედ ვსუნთქავდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხე საკუთარი თავი დამემშვიდებინა და გადამწყვეტი ბურთი კალათში ჩამეგდო...



დავუმიზნე, ბურთი მსუბუქად ვტყორცნე...

◆

დავუმიზნე, ბურთი მსუბუქად ვტყორცნე და მეექვსეჯერ ბადეში გავახვიე. რომ იცოდე, როგორი შვება ვიგრძენი! თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოვიხსენი. ამის შემდეგ დაჯერებულად ჩავაგდე დანარჩენი ოთხი ბურთი. ათიდან — ათი! გაოცებული ოფიცრები [illegible] ხმამაღლა რაღაცაზე კამათობდნენ, ჩემი ამხანაგები ღელავდნენ. მათ ახარებდათ ჩემი წარმატება. ვინ იცის, ეგებ მათაც გამოუვიდეთ რამე. ყველაფერი შესაძლებელია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ოფიცერი თავის ჯგუფს გამოეყო, ჩემთან მოვიდა და ხმამაღლა, ისე რომ ყველას გაეგონა მითხრა:

—თქვენ ათი ბურთი ჩააგდეთ, ათიოო, გეტყობათ ამ საქმის დიდი ოსტატი ხართ. ბატონი პოლკოვნიკი თქვენ შესაძლებლობას გაძლევს გადაარჩინოთ აი ისინი,—და მან მიმითითა დანარჩენ თხუთმეტ სიკვდილმისჯილზე. — ოღონდ, ამისათვის კიდევ უნდა შეასრულოთ ხუთი საჯარიმო ტყორცნა. თუ კი ხუთივეს ჩააგდებთ, ყველას სიცოცხლეს გაჩუქებთ, თუ არა და — ყველას დავხვრეტთ, მათთან ერთად თქვენც. თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ და ცოცხალი დარჩეთ. არ გინდათ გმირობა ჩაიდინოთ? — და გერმანელმა პირდაპირ სახეში შემომცინა.

უბედურებმა ვერ გაბედეს თვალებით მაინც შემევედრებოდნენ. მათ უნუგეშოდ ჩაქინდრეს თავები, თითქოს შეურიგდნენ თავიანთ მწარე ხვედრს. ოფიცრებს, ცხადია ეგონათ, ატყდებოდა წივილ-კივილი, ცრემლების ღვრა, ხვეწნა-მუდარა, განწირულნი მუხლზე ჩოქვით გამომთხოვდნენ სიცოცხლეს, მაგრამ გესტაპოელები მწარედ მოტყუვდნენ: არც ერთი განწირულთაგანი ჩემთან არ მოსულა, ცრემლიც არავის გადმოუგდია... სიკვდილმისჯილნი დუმდნენ.

დრო აღარ ითმენდა. დაუყოვნებლივ უნდა მიმეღო გადაწყვეტილება... დამშვიდებით ბრძანდებოდეთ, ბატონო ოფიცრებო! ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, თქვენ ახლავე გაიგებთ, როგორ არის აღზრდილი საბჭოთა სპორტსმენი. იმედი გქონდეთ ჩემო მეგობრებო, ვიბრძოლებ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ. მე ვერ ვიცხოვრებ მშვიდად, სუფთა სინდისით, თუ კი უარს ვიტყვი ბედის ცდაზე... რას წარმოადგენს ხუთი ბურთის ჩაგდება საბჭოთა კალათბურთელისათვის? ხუთი ტყორცნა? მე ხომ ოციც ჩამიგდია ზედიზედ!

ბურთი ავიღე. პირველი ოთხი ტყორცნა გამიმართლდა. დარჩა უკანასკნელი, გადამწყვეტი ტყორცნა! ამ დროს შიშმა ამიტანა, თითქოს მდუღარე გადმასხეს, შევეცადე ჩემი თავი დამემორჩილებინა. ისეთი სისუსტე ვიგრძენი, მეგონა ბურთის სატყორცნელად ძალა აღარ მეყოფა მეთქი. ამხანაგები თვალს არ მაშორებდნენ, მათ სახეზე ჩემი გამარჯვების რწმენა ამოვიკითხე, ვგრძნობ ამ დაძაბულობას მეტს ვერ გავუძლებ. კიდევ ერთხელ ვტყორცნი და გულზე მომეშვება.

თითქმის დაუმიზნებლად ვტყორცნე ბურთი. იგი მოხვდა ფარს, რკალის თავზე დატრიალდა და ზანტად, თითქოს ძალით ჩატენესო, ბადეში ჩაეშვა. ბედნიერი შემთხვევითობა! მაგრამ ამ წამს მე და ჩემმა ამხანაგებმა ჯოჯოხეთური წამება გადავიტანეთ.

არასდროს, ჩემს სიცოცხლეში ისეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ, როგორც ამ წუთებში. განწირულნი მეხვეოდნენ, ხელს მართმევდნენ, ჰკოცნიდნენ. ოფიცრის უხეშმა ხმამ გამოგვაფხიზლა...

და აი, როგორც ხედავთ ცოცხალი გადავრჩი. თქვენ გგონიათ ამ საბედისწერო ტყორცნებმა შეუნარჩუნა მათ, დანარჩენებს სიცოცხლე? სრულებითაც არა! მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია...

თარგმნა ბ. დარსაძემ

ისინდი, დოლი, ცხენბურთი

ხობის იპოდრომზე ჩატარდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობაში. პროგრამაში იყო ისინდი, ჩეხვა, ცხენბურთი, დოლი ორ კილომეტრზე და მარულა რვა კილომეტრზე. მოეწყო აგრეთვე საჩვენებელი გამოსვლები ჯირითში და თარჩიაში. ჩეხვაში პირველი ადგილი დაიკავა გ. გრიგოლიამ. სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვ. ცომაია ცხენი „არწივით" გამარჯვებული გამოვიდა დოლში. რვაკილომეტრიან მარულაში სტარტი აიღო ექვსმა მხედარმა. ფინიშთან პირველი მივიდა შუა ქვალონელი ი. გვასალია.

ნ. შონია

ყოველი მხრიდან

⊙ **დასავლეთი გერმანია.** ქ. ობერამერგაუში შედგა ყრუ-მუნჯთა საჭადრაკო გუნდური ტურნირი. შეჯიბრებაში ყველას გაუსწრო დასავლეთ გერმანიის გუნდმა. შემდეგ ადგილებზე გავიდნენ ჰოლანდიის, პოლონეთის, ნორვეგიის, დანიისა და სხვა გუნდები.

⊙ **ჰოლანდია.** ამსტერდამში გამართულ მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ეივემ და შელტინგმა.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 8.89.62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8.90.34, მორიგისა და გამომშვებისა — 8.38.25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04172